ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2287832

ნომერი: AR1354254

თარიღი : 04.11.2015

გაცემის თარიღი : 09.11.2015

გაცნობის თარიღი : 10.11.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ყიფშიძე , N 2 / ქალაქი თბილისი , გამზირი ჭავჭავაძე , N39 - ის მიმდებარედ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლაშა ქობულია პ/ნ 01011009903
- თბილისი. გუდაურის ქ. 7

ნომენკლატურა :

- მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა
- IV კლასი
- შეთანხმებული პროექტის ცვლილება
- პროექტის შეთანხმება

.მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები.:

- .დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი.: 3106
- .დადგენილი გაპის ბრძანების თარიღი.: 3.12.2003

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალფუნქციური შენობა
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ლაშა ქობულია
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს ვაკე ჰილლ
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 205278386

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შპს ვაკე ჰილლ
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 205278386
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: გიორგი ჟვანია
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01008003533

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 925.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 497.0
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 6944.3
- .საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).: 2461.0
- .საოფისე ფართობი (კვ.მ).: 764.1
- .კომერციული ფართობი (კვ.მ).: 589.5
- .საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 472.6
- .კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 946.5
- .დამხმარე ფართობი (კვ.მ).: 112.3
- .ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).: 739.4
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 30750.0
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 24000.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 6750.0
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 65.12
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 57.7
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 7.42
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 497.0 (კ1=0.5)
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 6512.6 (კ2=7.0)
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 146.6 (კ3=0.2)
- .საცხოვრებელი ტიპის სასტუმროს აპარტამენტის ფართობი: 858.9

.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: 01/627
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 15.03.2012

.არსებობის შემთხვევაში მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 01/627
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 15.03.2012

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზედ თანდართული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:

1. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, პროექტის შეთანხმების სტადიაზე დამკვეთი გახლავთ განმცხადებელი, შესაბამისად საჭიროა დამკვეთის ინფორმაციის ველებში შეავსოთ განმცხადებლის რეკვიზიტები. წინააღმდეგ შემთხვევაში საჭიროა დამკვეთი ორგანიზაციის დირექტორი დააფიქსიროთ თანაგანმცხადებლად ან დამატებით ფაილში ატვირთოთ დამკვეთი ორგანიზაციის მიერ გაცემული მინდობილობა განმცხადებლის სახელზე.

2. არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა წარმოადგინეთ განახლებული სახით და მიუთითეთ გადაღების თარიღი.

3. ველში –> ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით) -> განაშენიანების ფართობი (კვ.მ): არასწორია, აღნიშნული იანგარიშება მიწასთან შეხებაში მყოფი სართულების (-6.12, -3.06 და 0.00 ნიშნულებზე) ზედხედის პროექციის გარე კონტურზე და მასში შედის პანდუსებიც და კიბეებიც.

4. ველში –> ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით) -> კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში): არასწორია, აღნიშნული პროექტი განიხილება ქ. თბილისის საკრებულოს 2001 წლის 1 აგვისტოს №8-13 გადაწყვეტილებით, რომლის თანახმადაც კ2 კოეფიციენტი იანგარიშება სართულების გარე კონტურზე აივნების, ტერასების, კიბის უჯრედების, ლიფტებისა და ლიფტის ჰოლის ფართების გამოკლებით.

5. ველებში –> შენობა-ნაგებობის ყველა სართულისა და სახურავის გეგმები, შენობა-ნაგებობის ჭრილები, შენობა-ნაგებობის ფასადები -> pdf ფაილები (მასშტაბი 1:100); საპროექტო შენობა-ნაგებობის ვექტორული CAD ფაილი (AutoCad - ის ან ArchiCad - ის სახით):

- 0,00 ნიშნულზე განთავსებული სამანქანო პანდუსის გარკვეული ნაწილი სცდება საკადასტრო საზღვრებს, საჭიროა მოაქციოთ აღნიშნული საპროექტო საზღვრებში.
- პროექტით გათვალისწინებული შშმ პირთათვის განკუთვნილი პანდუსის დახრის პროცენტი, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად არ უნდა აღემატებოდეს 6%–ს. შესაბამისად განაახლეთ პროექტი აღნიშნულ ნაწილში და პანდუსზე დაიტანეთ საწყისი/ბოლო ნიშნულები და გაბარიტული ზომები.
- გეგმებზე დაიტანეთ საცხოვრებელ ბინებში შესასვლელები (ზოგ შემთხვევაში გამორჩენილია).
- ჭრილებზე და ფასადებზე დაიტანეთ საკადასტრო საზღვრები.
- ვექტორული ფაილი განაახლეთ ხარვეზების შესაბამისად და დაიტანეთ განაშენიანების ფართობისა და კ2 კოეფიციენტის საანგარიშო კროკები გეგმების მასშტაბში.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.